# საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

**9 აპრილს** თბილისში მუშაობა დაამთავრა საკავშირო პრაქტიკულმა კონფერენციამ საკითხზე: „პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლება მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში“.

ბოლო პლენარულ სხდომაზე მოისმინეს სექციების ხელმძღვანელთა ინფორმაციები: ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორის **მ. ი. ხალდეევისა** თემაზე — „პარტიული ორგანიზაციების მუშაობა პარტიული რიგების ზრდისათვის, კომუნისტების აქტიურობის ამაღლებისა და იდეური წრთობის გაძლიერებისათვის“; სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს **ა. გ. ეგოროვისა** — „პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი შრომითი კოლექტივების საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის ზრდაში“; სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ **ვ. ა. მედვედევისა** — „პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება“; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილის **პ. კ. ლუჩინსკისა** — „მასებთან პირველადი პარტიული ორგანიზაციის კავშირის განმტკიცება და მუშაობის სტილის სრულყოფა“.

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა სახელით სხდომაზე გამოვიდნენ ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ვ. ი. ბროვიკოვი** და მოსკოვის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ბამბეულის ფაბრიკის პარტკომის მდივანი **გ. ნ. გონჩაროვა**. მათ მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის ყველა კომუნისტს კონფერენციის მუშაობის კარგი ორგანიზაციისათვის, გულთბილობისა და ყურადღებისათვის, რომლითაც გარემოსილი იყვნენ მისი მონაწილენი საქართველოში ყოფნის დროს.

კონფერენციაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ი. ვ. კაპიტონოვმა**.

კონფერენციის დახურვისას სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე**.

(საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 69 (7380)

10 აპრილი, კვირა. 1983 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!





# ქუთაისში, სპორტულ დღესასწაულზე

**ჯანმრთელობა** იყო იმ მასობრივი სპორტული შეჯიბრებების დევიზი, რომელიც გასულ კვირას ქუთაისის სპორტულ ბაზებსა და მოედნებზე სპორტულ დღესასწაულად იქცა. ძალას ცდიდნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები — სტუდენტები, მუშები, მოსამსახურეები, პროფტექნიკური, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეები, საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელები.

ჯანმრთელობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ორგანიზებულად ჩაატარეს სპორტულმა საზოგადოებებმა „განთიადმა“, „დინამომ“, „სპარტაკმა“, ავტოქარხნისა და ლენინის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, სპორტკლუბმა „თბომავალმა“.

დილიდანვე გამოცოცხლება იგრძნობოდა ქალაქის სტადიონებზე, პიონერთა და მოსწავლეთა პარკის შემოგარენში, ფეხბურთის მოედნებზე.

საინტერესოდ ჩაატარა სპორტსაზოგადოება „განთიადმა“ ტურისტული შეკრება-შეჯიბრება, რომელშიც 16 ფიზკულტურული კოლექტივის 700-მდე მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა. პირველობა არავის დაუთმეს სამთო ტექნიკუმის მოსწავლეებმა. მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად გაინაწილეს საავტომობილო ქარხნისა და ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებმა.

ბევრი მაყურებელი მიიზიდა პაექრობამ სიმძიმეების აწევაში. პიონერთა და მოსწავლეთა პარკში მოეწყო საჩვენებელი ასპარეზობა ქართული და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება ბაგირის გადაძალვაში.

ავტოქარხნის ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის ინიციატივით ამ რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო უბნების ნაკრებ გუნდებს შორის მოეწყო შეჯიბრებები მინიფეხბურთსა და მოძრავ თამაშობებში. მასობრივი იყო ასპარეზობა კროსში, რაიონული პირველობა ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, „განთიადის“ საცურაო აუზში გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში.

ლენინის რაიონის ახალგაზრდობისა და გუმათის დასახლების მოედნებზე მრავლად შეიკრიბნენ მოასპარეზენი. აქ მოეწყო შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ფიზკულტურის კოლექტივების წარმომადგენლები ძალებს ცდიდნენ კროსში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში. „მთელი ქარხანა სტადიონზე“! — ამ დევიზით მინის ტარის ქარხნის 400-მდე მშრომელის მონაწილეობით ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მინისტარელთა შეჯიბრებები მოძრავ თამაშობებში, მძლეოსნურ კროსში, მშთ ნორმატივების ჩაბარებაში.

„დინამოს“ ბაზაზე ჩატარდა ამ საზოგადოებასთან არსებული გამაჯანსაღებელი ჯგუფების შეჯიბრება „მხიარული სტარტები“, რომელშიც მონაწილეობდნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები და მათი მშობლები.

სახალხო სადღესასწაულო ზეიმში არც რკინიგზელ სპორტსმენებს შეურცხვენიათ თავი. ხალხმრავლობა იყო „თბომავალის“ მძლეოსნურ მანეჟში, საჭიდაო დარბაზებში, რკინიგზელი მშრომელები და მათი შვილები ძალას ცდიდნენ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში.

თავი გამოიჩინეს მოსწავლე სპორტსმენებმა, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ წარმომადგენლებმა. ამ დღეს შეჯიბრების მსურველებს მასპინძლობდა საავტომობილო, ბუხაიძის, მარქსის დასახლებების სპორტული ბაზები.

**შ. ნიჟარაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ჯანმრთელობის დღეს გამართული ასპარეზობის მომენტები ქუთაისის სპორტულ ბაზებზე.**

ავტორის ფოტოები.





ასპარეზობენ დოსააფელები

•

# სეზონის გახსნის პრიზზე

**ტრიბუნიდან** ხელის გულივით მოჩანს კილომეტრზე მეტი სიგრძის სარბოლო ტრასის ყველა მიხვევ-მოსახვევი. სპეციალისტების აზრით, საქართველოს დოსააფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის საავტომობილო წრიული ტრასა ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირში.

სწორედ აქ ჩატარდა სარბოლო მიკროავტომობილების ასპარეზობა სეზონის გახსნის პრიზზე. ღია სტარტებში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, სამტრედიის, სოხუმის, ახალციხის, თელავის, ბოლნისის გუნდები. მათთან ერთად აქ ძალებს ცდიდნენ ბაქოელი კარტინგისტებიც. სულ 14 გუნდის 81 სპორტსმენი ჩაება ასპარეზობაში, რომლის პირველი დღე დაეთმო საკონტროლო რბოლებს და ტექნიკურ შემოწმებებს.

სარბოლო მანქანების ტექნიკურ გამართულობაზე დიდადაა დამოკიდებული სპორტსმენის წარმატება თუ წარუმატებლობა. როდესაც ისინი რბოლის დროს ტოვებენ ტრასას, ეს იმას ნიშნავს, რომ მანქანამ „უარი თქვა“ გზის გაგრძელებაზე. ასეთი ბედი ეწია თბილისელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს რობერტ აკოფოვს, რომელიც მთელი რბოლის განმავლობაში ერთპიროვნულად ლიდერობდა. როცა ფინიშამდე ორად ორი წრე რჩებოდა, კარტინგისტს სწორედ ამ დროს უღალატა მანქანამ.



მიუხედავად ამისა, თავის კლასში აკოფოვი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა, ხოლო მისმა გუნდმა, თბილისის სპორტულ-ტექნიკურმა კლუბმა „ოქტომბერმა“ 237 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე ადგილი დაიკავა ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის ნაკრებმა — 216 ქულა, მესამე — სოხუმის დოსააფის გაერთიანებული ტექნიკური სკოლის კოლექტივმა — 203 ქულა.

პირად პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

„პიონერის“ კლასი: ზ. მუსტაფაევი (ბაქო), მ. სესიკაშვილი (თელავი), ზ. ტურიაშვილი (თბილისი).

ჭაბუკების კლასი: ო. კნიაზევი (სოხუმი), გ. ადეიშვილი (თბილისი), ო. ვოროშოვი (ახალციხე).

საკავშირო კლასი: ა. პობერეჟსკი (სამტრედია), პ. კალჩენკო (რუსთავი), პ. კუტენკო (ახალციხე).

საერთაშორისო კლასი (ც-2): ს. სოკოლოვი (თბილისი), ი. გორშკოვი (ბაქო), რ. აკოფოვი (თბილისი).

მომავალ შაბათსა და კვირას ამავე ტრასაზე გაიმართება ასეთივე შეჯიბრება უფრო დიდი ფორმულის ტიპის სარბოლი მანქანებით.

**გ. ბარჯაძე,**
**სპორტის ოსტატი.**

## შრომა და სპორტი — მხარდამხარ!







თბილისის საწარმოო გაერთიანება „სიხარულის" მეოთხე მექანიკურ ქარხანაში შრომასთან ერთად აქტიური დასვენებაც უყვართ. აქ ხშირად ეწყობა შიდასაქარხნო სპარტაკიადები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ექსკურსიები, ლაშქრობები. შრომაში მოწინავენი სპორტშიც მოწინავენი არიან. სახახელოდ შრომობენ ამწყობები ე. პირიევა, და მ. ზახაროვა, ამწყობი ზეინკლები ვ. გიულჩარიანი და ვ. ჩერნენკო; ამწყობი ზეინკალი ვ. ნასრაშვილი, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული და ყოველთვიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მიმდინარეობს შიდასაქარხნო სპარტაკიადა ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. მოწინავე მუშა, ამწყობი ზეინკალი ვ. ნასრაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ჯანმრთელობის ტრასებით

# სამ სახეობაში

...ჩვენი ყურადღება უნებლიეთ № 26 მაისურიანმა სპორტსმენმა მიიქცია. მიუხედავად ხანდაზმულობისა (53 წლისა გამოდგა) და საკმაოდ სოლიდური წონისა, იგი ისე ლაღად მიისწრაფოდა ფინიშისაკენ, რომ ბევრ ახალგაზრდა სპორტსმენს შეშურდებოდა. სოხუმის რძის ქარხნის ხარატმა გივი დუგლაძემ ამ დღეს სათხილამურო რბოლაში მესამე შედეგი აჩვენა, ხოლო ტყვიის სროლაში (უფროს ასაკში) პირველი იყო.

გავესაუბრეთ. ძველი მოჭიდავე და ფეხბურთელი ყოფილა (ორივე სახეობაში პირველი თანრიგი აქვს). წლების მანძილზე აფხაზეთის ნაკრების წევრი იყო მძიმე წონაში, ფეხბურთს კი სოხუმის „ტრუდში" თამაშობდა, საქართველოს სპარტაკიადების ოთხგზის მონაწილეა.

— თხილამურებს 15 წლის ასაკში დავეუფლე, ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელში სწავლის დროს, — გვეუბნება სოხუმელთა გუნდის კაპიტანი. — მაშინ სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ვიცავდი ჩვენი სასწავლებლის ღირსებას 5 და 10 კილომეტრზე რბოლაში. 1949 წელს, ქუთაისის ავტოქარხანაში მუშაობისას, ქალაქის ჩემპიონი გავხდი სათხილამურო რბოლაში. იმავე წელს 8 კაცის შემადგენლობაში მონაწილეობა მივიღე სათხილამურო გადასვლაში (ქუთაისი — ლენტეხი), რომელსაც ცნობილი სპორტსმენი ალექსი ნემსიწვერიძე ხელმძღვანელობდა. ბაკურიანის სტარტებით კმაყოფილი ვარ. აქვე თანაგუნდელების სახელით მადლობის გრძნობით მინდა მოვიხსენიო ჩვენი მასპინძელი — ბაკურიანის „ბურევესტნიკის" სამთო-სათხილამურო ბაზა (დირექტორი ბადრი მიქაბერიძე).



სამ დღეს მიმდინარეობდა ბაკურიანში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავისადმი მიძღვნილი საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს III სპარტაკიადა მშთ-ს ზამთრის მრავალჭიდში (მთავარი მსაჯი — სპორტის ოსტატი იური გალდავა). ასპარეზობაში 7 გუნდის 50-მდე მუშა-მოსამსახურე გამოვიდა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სათხილამურო რბოლაში (ქალები 3 კილომეტრზე, ვაჟები — 5 კმ), სლალომსა და ტყვიის სროლაში. უძლიერესის სახელი მოიპოვეს თბილისელმა ქეთევან მახარობლიძემ და ბორჯომელმა იური ზუბეკმა (რბოლა), ახალციხელმა ლეილა ნებაძემ და ბორჯომელმა არჩილ კოზანაშვილმა (სლალომი), ქ. მახარობლიძემ და გაგრელმა მურმან წარიამ (ტყვიის სროლა). გამარჯვებულთა გარდა კარგი მომზადება გამოავლინეს აგრეთვე სოხუმელებმა მურმან რუხაძემ (მეორე ადგილი სროლაში). პანაიოტ ხალაიჯევმა (მეორე ადგილი სლალომში), გაგრელმა დავით ფირცხალავამ (მეორე ადგილი რბოლაში) და სხვებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა (საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო). მეორე ადგილზეა სპარტაკიადების ორგზის ჩემპიონი — ბორჯომის (ხორცისა და რძის კომბინატი) გუნდი, მესამეზე — ახალციხის (ხორცის კომბინატი) კოლექტივი.

სამწუხაროდ, ზოგიერთ გუნდს (სოხუმი, გაგრა, ბორჯომი) შემადგენლობაში მხოლოდ ვაჟები ჰყავდათ, თავის შესაძლებლობასთან შედარებით სუსტად იასპარეზა ქუთაისელთა გუნდმა (VI ადგილი), ხოლო ბათუმის, ზესტაფონის, სამტრედიის, გორისა და სხვა გუნდებმა საერთოდ აარიდეს თავი ამ საინტერესო შეჯიბრებას.

ო. ოთარაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ბორჯომელი იური ზუბეკი რბოლის ფინიშთან.

გ. ჟორჟიკაშვილის ფოტო.

თბილისის სპარტაკიადა

# ყოველი შეჯიბრება — მაღალ დონეზე

არაერთხელ ითქვა და დაიწერა, რომ სპორტის ამა თუ იმ სახეობის პროპაგანდისათვის, მასობრიობის გაზრდისა და საერთო დონის ასამაღლებლად აუცილებელია ნებისმიერი შეჯიბრება (რესპუბლიკური, საქალაქო თუ სხვა რანგისა) ჩატარდეს მაღალ ორგანიზაციულ დონეზე. ამით, პირველ რიგში, ასპარეზობა საზეიმო ელფერს მიიღებს და მონაწილენიც უფრო მეტი პასუხისმგებლობით გამოვლენ სარბიელზე.

ამჯერად მკითხველის ყურადღება სპორტსმენთა ჩაცმულობაზე გვინდა შევაჩეროთ. თბილისის VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირის დებულებაში შეტანილი იქნა პუნქტი, რომლის მიხედვით ის სპორტსმენი, რომელსაც არ ექნება სპორტული ფორმა, შეჯიბრებიდან იხსნება. ამიტომ ახლა თითქოს უხერხულიც კია ამ საკითხზე ლაპარაკი, რადგან სარბიელზე რომ სპორტული ფორმით გამოსვლაა საჭირო, ამის შესახებ ყველას, მათ შორის დამწყებ სპორტსმენებსაც, კარგად მოეხსენება. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, ვთქვათ, კალათბურთელთა ან ფრენბურთელთა მატჩი სავარჯიშო შარვლებში გამოწყობილი სპორტსმენების მონაწილეობით. მაგიდის ჩოგბურთში კი ეს, სამწუხაროდ, უხეირო ტრადიციად იქცა.

გაფრთხილების მიუხედავად, ზოგიერთ ჩოგბურთელს მაინც არ აღმოაჩნდა სპორტული ფორმა. ამიტომ ისინი შეჯიბრებაზე არ დავუშვით. იმედია, სხვები ამას გაითვალისწინებენ და მომავალში ასეთი მკაცრი ზომების მიღება აღარ დაგვჭირდება.

ახლა კი თვით ასპარეზობის შესახებ, რომელიც ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტკლუბ „სინათლის" დარბაზში ჩატარდა.

სპარტაკიადაზე გამარჯვებისათვის 5 გუნდი იბრძოდა. ქალთა შორის „დინამოსა" და „სპარტაკის" ფინალური შეხვედრა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დაძაბულად წარიმართა. კარგად იასპარეზა დინამოელმა ნ. გოზალიშვილმა, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით 2:1 სძლია საქართველოს ჩემპიონს ხ. აივაზოვას და ექს-ჩემპიონს ე. მაზურენკოს. თავის მხრივ აივაზოვამ და მაზურენკომაც ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს. ამას დაემატა სპარტაკელთა მესამე წევრის მარინე მურადოვას მოგება გ. ხიზანიშვილთან ორთაბრძოლაში. საბოლოოდ ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა „სპარტაკის" გამარჯვებით — 5:3.

III ადგილზე „ბურევესტნიკის" გოგონები გავიდნენ.

ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ტრადიციული მეტოქეები — „სპარტაკისა" და „ბურევესტნიკის" გუნდები. მომავალმა ინჟინრებმა ამჯერად ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს სპარტაკელებს (ჯ. მელაძე, ა. გიკაშვილი, კ. საგოიანი) და დამარცხდნენ ანგარიშით 0:5.

III ადგილი „განთიადის" წარმომადგენლებს ხვდათ წილად.

საინტერესოდ წარიმართა პირადი შეჯიბრებაც. საკმარისია ითქვას, რომ ქალთა შორის გამარჯვებული მხოლოდ უკანასკნელ ტურში გამოვლინდა. 22 წლის მაზურენკომ რევანში აიღო გოზალიშვილთან გუნდურ ტურნირში წაგებისათვის, ორ პარტიაში სძლია მეტოქეს და დამსახურებულად მოიპოვა პირველობა.



ალსანიშნავია, რომ მაზურენკომ ასპარეზობა დაუმარცხებლად განვლო. გოზალიშვილი III ადგილით დაკმაყოფილდა, მას გაუსწრო მისმა თანაგუნდელმა პაპუკაშვილმა.

ვაჟებში, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, 27 წლის ჯ. მელაძემ იმარჯვა. დანარჩენი საპრიზო ადგილებისათვის კი დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. საბოლოოდ ა. გიკაშვილსა და გ. გოგოლაძეს („შრომითი რეზერვები") ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ. გოგოლაძესთან პირადი შეხვედრის მოგებით II ადგილზე 37 წლის გიკაშვილი გავიდა.



ქალთა წყვილებში პაპუკაშვილმა და გოზალიშვილმა მიაღწიეს წარმატებას, ვაჟებში უძლიერესი იყო მელაძე-ბირბიჩაძის დუეტი, შერეულ წყვილთა ასპარეზობაში კი ყველას აჯობეს მაზურენკომ და მელაძემ.

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა „სპარტაკი". მეორე ადგილზე არიან „ბურევესტნიკის", ხოლო მესამეზე „განთიადის" წარმომადგენლები.

აპრილის ბოლოს ბათუმში გაიმართება რესპუბლიკური სპარტაკიადის ტურნირი, რომელშიც მცირე ჩოგნის ყველა უძლიერესი ოსტატი მიიღებს მონაწილეობას.

გ. ახალაძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, თბილისის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ასპარეზობენ ჯ. მელაძე და ე. მაზურენკო.

ავტორის ფოტოები.

# საქართველოს უმაღლესი მიღწევით



როგორც ვიუწყებოდით, თბილისში. სანაპიროზე გაიმართა მარათონული გარბენი. ცნობილია მარათონის პოპულარობა საბჭოთა კავშირში და მთელს მსოფლიოში, ამიტომ სასიხარულოა, რომ სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა ჩვენშიც იკიდებს ფეხს: ამ მოკლე ხანში თბილისში უკვე მეორედ ჩატარდა მსგავსი შეჯიბრება და ორივე შემთხვევაში ინიციატივა და ორგანიზაცია რესპუბლიკური უმაღლესი დაოსტატების მძლეოსნურ სკოლას (დირექტორი ნ. დუმბაძე) ეკუთვნის.

შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რბენის მოყვარულთა კლუბებმა: „როსინანტმა" (მძლეოსნობის რესპუბლიკური სკოლა) და „კუმ" („ლოკომოტივი"), აგრეთვე საქართველოს ნაკრების წევრებმა. ქების ღირსია თელაველი მწვრთნელი ა. ჯანდიერი, რომელმაც 6-კაციანი რაზმი გამოიყვანა მარათონის სტარტზე.

მარათონულ ასპარეზობაში მონაწილეებს სხვადასხვა ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი: თუ ზოგიერთების მიზანს საკუთარი ამტანობის შემოწმება და დისტანციის დათავრება წარმოადგენდა, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წევრებისთვის, რომლებიც საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობაზე ოცნებობენ, ეს გარბენი თავის გამოჩენის კარგი საშუალება იყო. უნდა ითქვას, რომ მათ საკმაოდ ძნელ პირობებში მოუხდათ ბრძოლა: სანაპირო ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ძირითადი საავტომობილო მაგისტრალია, ამიტომ მისი გადაკეტვა არ მოხერხდა და რბენა უსწორმასწორო ტროტუარზე მიმდინარეობდა, მათ გვერდით კი უამრავი მანქანა მოძრაობდა. გარდა ამისა, შეჯიბრების ორგანიზაციაში ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული: ქალაქის საექიმო ფიზკულტურულმა დისპანსერმა (მთავარი ექიმი ო. ვირუბოვი), რომელსაც დაკისრებული ჰქონდა სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურება, სამის ნაცვლად მხოლოდ ერთი სასწრაფო დახმარების მანქანა გამოყო, რაც აშკარად არ იყო საკმარისი. კვების პუნქტებთან მისულ მორბენლებს ძალის აღმდგენი ხსნარი კი არა, წყალიც არ ხვდებოდათ. როგორც საქართველოს ყველაზე გამოცდილმა მარათონელმა გ. ხუფაცარიამ განაცხადა, ასეთ პირობებში ძალიან ძნელია კარგი შედეგის მიღწევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოთხმა სპორტსმენმა ურიგო დრო როდი აჩვენა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ი. ციგულიოვმა (მწვრთნელი ვ. ქადეიშვილი). იგი თითქმის მთელი დისტანციის მანძილზე ლიდერობდა. მე-20 კილომეტრამდე მას სამი სპორტსმენი — შ. ნადირაძე, გ. ხარაზიშვილი და ი. კოსიხი მიყვებოდა კვალში. შემდეგში მას მხოლოდ ნადირაძე ებრძოდა, თუმცა 30 კილომეტრის შემდეგ ციგულიოვმა მისი ჩამოტოვებაც შეძლო. მალე ნადირაძეს ხარაზიშვილმაც გადაასწრო, ხოლო წინ ეულად დარჩენილი ციგულიოვი თანდათან უმატებდა სიჩქარეს და როცა ფინიშის ხაზი გადაკვეთა, აღმოჩნდა, რომ მას გ. ხუფაცარიას მიერ 1977 წელს დამყარებული საქართველოს უმაღლესი მიღწევა გაეუმჯობესებინა. თუ ეს შრომისმოყვარე სპორტსმენი საკავშირო სპარტაკიადამდე დარჩენილ დროს ნაყოფიერად გამოიყენებს, შეძლებს ჩვენი გუნდისათვის გარკვეული სარგებლობის მოტანას.

შეჯიბრებაში ორი ქალიც მონაწილეობდა: ი. სამსიანმა („როსინანტი") 20-კილომეტრიანი მანძილი დაძლია. ხოლო კინოსტუდია „ქართული ფილმის" თანამშრომელმა ო. ტულუშმა — მთლიანად მარათონული დისტანცია.

40 წელზე უფროსი ასაკის მონაწილეთა შორის თავი გამოიჩინა ბ. ჩერნოვმა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის დათო გოცირიძის („კუ") შემართება. იგი მხოლოდ 15 წლისაა და მაინც საკმაოდ სწრაფად გაირბინა 42 კმ და 195 მ — 3:23.52.

მარათონის პარალელურად მიმდინარეობდა რბენა 20 კილომეტრზე იუნიორთა შორის, სადაც „როსინანტის" წარმომადგენელმა ლ. ბუჩუკურმა იმარჯვა.

გ. ზურაბაული.

**ტექნიკური შედეგები:**

**42 კმ 195 მ. ვაჟები.** 1. ი. ციგულიოვი (ასკ) — 2:21.32; 2. გ. ხარაზიშვილი („კოლმეურნე") — 2:27.59; 3. შ. ნადირაძე („კოლმეურნე") — 2:30.46.

**20 კმ იუნიორები.** 1. ლ. ბუჩუკური — 1:09.35; 2. ი. გვიანიშვილი — 1:18.13; 3. ვ. მოროზოვი —1:22.35 (ყველა—„როსინანტი").

ნუ დავკარგავთ საუნჯეს...

# დავაწესოთ ქართული ჭიდაობის დღე!

# ტრადიციად ვაქციოთ

**ქართული** ჭიდაობის დღის დაწესების თაობაზე მოწოდებამ მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სარედაქციო ფოსტაში უკვე რამდენიმე ათეული წერილი დაგროვდა, რომელთა ავტორები მიესალმებიან ამ კარგ წამოწყებას, ხაზს უსვამენ ქართული ჭიდაობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, გვთავაზობენ თავიანთ წინადადებებს. ავტორთა შორის არიან ვეტერანებიც და ახალგაზრდებიც, სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც.

გუშინწინ კი რედაქციაში გვესტუმრა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის ორგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში **არჩილ წიქარაძე**. 30 წელიწადზე მეტია ეს კაცი ჩვენი სპორტის სამსახურში დგას, ამ ხნის მანძილზე არაერთ ახალგაზრდას შეაყვარა ჭიდაობა და დიდი სპორტისკენ მიმავალ გზაზე დააყენა:

— მთელი ჩემი ცხოვრება ჭიდაობასთან არის დაკავშირებული და, ცხადია, მივესალმები ქართული ჭიდაობის დღის დაწესებას. ქართული ჭიდაობა რომ ჩვენი ეროვნული სპორტის საძირკველია, ამას მტკიცება არ სჭირდება. ორმოციან წლებში, როცა თავად გამოვდიოდი სარბიელზე, ქართული ჭიდაობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო პოპულარული. შაბათკვირა ისე როგორ ჩაივლიდა, რომ ნახერხმოყრილ წრესთან არ შეკრებილიყვნენ მუხლმაგარი ბიჭები. ამ შეჯიბრებებს დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა და ეს ჩვენთვის, ფალავნებისთვის, განსაკუთრებული სტიმული იყო. იმას ვერ ვიტყვი, რომ ქართული ჭიდაობის ტრადიციები დავივიწყეთ-მეთქი, მაგრამ ჩვენივე უყურადღებობით ჭიდაობამ აქა-იქ დაკარგა ძველებური ინტერესი. ამიტომ სწორედ რომ დროულია ქართული ჭიდაობის დღის დაწესება. ეს იქნება საერთო-რესპუბლიკური დღესასწაული, მაგრამ, რა თქმა უნდა, სასოფლო, სარაიონო, საქალაქო შეჯიბრებები სისტემატურად, მთელი სპორტული სეზონის მანძილზე უნდა მიმდინარეობდეს.

ჩვენი ეროვნული სახეობა ჰაერივით სჭირდება იმათ, ვინც ჭიდაობაში პირველ ნაბიჯებს დგამს. ქართულ ფანდებს ვერაფერი შეცვლის, სწორედ ეს არის ჩვენი უპირატესობა, ჩვენი ფალავნების კოზირი... თითქმის ოცდახუთი წელიწადი ვმუშაობდი ზესტაფონში მწვრთნელად, ბევრმა პერსპექტიულმა მოჭიდავემ გაიარა ჩემს ხელში, ზოგიერთი მათგანი (მიხეილ სალაძე, თემურ და მალხაზ ლექავები...) საქვეყნოდ ცნობილი ფალავნები გახდნენ. ისინი თავიდანვე კარგად დაეუფლნენ ქართული ჭიდაობის ილეთებს. სამი წელიწადია კვლავ ჩემს მშობლიურ სოფელში — ფშაველში დავბრუნდი, თელავის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის 2 ჯგუფი ჩამაბარეს. აქ ბავშვები კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობასთან ერთად ქართულ ჭიდაობასაც სწავლობენ. აქ ჩვენი სოფლის ბავშვებთან ერთად ვარჯიშობენ ლალისყურის, ლეჩურისა და ჯუგაანის ახალგაზრდები. ზოგიერთმა მათგანმა უკვე რესპუბლიკურ პირველობაშიც გამოიჩინა თავი. პირველ ყოვლისა, უნდა გამოვყოთ დიმიტრი დავითინიძე (მან II ადგილი დაიკავა საქართველოს პირველობაზე), აგრეთვე გოჩა ქოთილაიძე, გელა ხაჩიძე, ავთანდილ მჭედლიშვილი, გელა და ბაკურ ჭვრიტიძეები, კახა ლოლაძე... ყველას ვერ ჩამოვთვლი. ჩვენი სექციის წევრები, რასაკვირველია, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქართული ჭიდაობის დღესასწაულში.

როდის ჩავატაროთ ქართული ჭიდაობის დღე? ჩემი აზრით, საამისოდ ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი შემოდგომაა — სექტემბერი ან ოქტომბერი.

**გ. ელგუჯაური.**



# 46-ე, ცუდი მეოთხე

## „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი) 1:0 (1:0)

**მინსკი. „დინამოს“ სტადიონი. 8 აპრილი.**

**„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი) 1:0 (1:0).**

**მინსკი: ვერგეენკო, ბოროვსკი, კურნენინი, იანუშევსკი, ალექსეენკო, პროკოპენკო, გოცმანოვი, პუდიშევი, ზიგმანტოვიჩი, გურინოვიჩი (ვასილევსკი), კონდრატიევი (სოკოლი).**

**თბილისი: მჭედლიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე, მუჯირი, ჯოხაძე (კოპალეიშვილი), ხვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული, კაკილაშვილი, გურული (გოგრიჭიანი).**

**მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი). გააფრთხილეს იანუშევსკი.**

**დუბლიორები — 1:0.**

წაგებულ მატჩზე წერა და საუბარი ძნელია. შეიძლება, ეს ასეცაა, მაგრამ გუშინწინდელ მატჩში არაფერი მომხდარა ისეთი, უფრო სწორად, ვერაფერი ვნახეთ ისეთი, რამაც შეიძლება კაცს იმ კონკრეტულ შეხვედრაზე საუბრის ხალისი დაუკარგოს.

რა თქმა უნდა, თამაშის ზოგიერთმა მონაკვეთმა. განსაკუთრებით კი 39-ე წუთზე, რომ იტყვიან, „უგემურმა“ გოლმა (კარისკენ არც თუ ძლიერად დარტყმული ბურთი უხერხულად მოიგერია მჭედლიძემ და კონდრატიევს ისღა დარჩენოდა ცარიელ კარში შეეგორებინა იგი) ბევრი ჩვენგანი გაანაწყენა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელების თამაშმა საერთოდ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა იმათზე, ვინც იმ საღამოს სწორედ ფეხბურთის სანახავად იჯდა ტელევიზორთან.

ეს კარგი შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, მხოლოდ შთაბეჭდილება არ არის და საკმაო არგუმენტაციასაც შეიცავს.

თუ რამდენიმე წუთს ამოვაგდებთ სათვალავიდან, ჩემპიონი საკუთარ მინდორზე, საკუთარ თავში მაინცდამაინც დაჯერებულად ვერ გამოიყურებოდა. მასპინძელი ერთობ ფრთხილობდა მეორე ტაიმში. მიზეზი, რა თქმა უნდა, მეტოქის აგრესიული, ოსტატობითაც საკმაოდ გამაგრებული თამაში იყო.

ზუსტად გამოანგარიშება ალბათ შეუძლებელია, მაგრამ ბურთი შედარებით მეტ ხანს, უფრო კი მეორე ტაიმში, მაინც თბილისელებს ჰქონდათ. არც ტერიტორიული უპირატესობა, არც კუთხურებისა და საჯარიმოების რაოდენობა ამბობს რამეს მასპინძელთა უპირატესობაზე. რაც შეეხება ყველაზე ანგარიშგასაწევ მაჩვენებელს — საგოლე სიტუაციებს, მატჩის ტელეკომენტატორსაც დავიმოწმებ და ვიტყვი, რომ თბილისელებს გოლის გატანის მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ.

მაგრამ, თუ ცოტაოდენი ლოგიკა მაინც არის ფეხბურთში, მატჩი ასეთი შედეგით არ უნდა დამთავრებულიყო.

რა თქმა უნდა, თბილისის „დინამოს“ დღევანდელი ამოცანებისა და მიზნების ფონზე დაკარგულ ქულაზე წუწუნი ალბათ ზედმეტია, მაგრამ, ჩვენი აზრით, არბიტრს საჯარიმოების ფიქსირებისას მეტი სიზუსტე უნდა გამოეჩინა.

თუმცა, არსებითი ალბათ არც ეს არის. არბიტრთა შეცდომები ყოველთვის იქნება. ჩვენი სურვილი კი ის არის, რომ მერე და მერე ნებისმიერი თამაშის შედეგი სულ უფრო ნაკლებად იყოს დამოკიდებული ამ და სხვა, მეტნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორებზე.

**ი. ბერიაშვილი.**

## „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 4:1 (2:1)

**მოსკოვი. „ტორპედოს“ სტადიონი. 8 აპრილი.**

**მოსკოვი: ჩანოვი (სარიჩევი), პივცოვი, ჟუპიკოვი, გოსტენინი, შავეიკო, პეტრენკო, პეტრაკოვი, ვასილიევი, ივანოვი, პოლუკაროვი, სოლოვიოვი (დოზმოროვი).**

**ქუთაისი: გაბელია, ხიზანიშვილი, ჭილაია, მელიქია, კურტანიძე, ქორიძე (აბულედიანი), კორძალიძე, კეტაშვილი, მეგრელაძე, დარჯანია (ძალამიძე), ა. კვერნაძე.**

**მსაჯი ვ. ჟუკი (მინსკი).**

**გააფრთხილეს კურტანიძე.**

**დუბლიორები — 2:0.**

გათამაშების ლიდერისა და აუტსაიდერის მატჩს ძლიერი, გადაუღებელი წვიმა დაესწრო, ორივე მხარეს საგრძნობლად უჭირდა თამაში, თუმცა მასპინძლებმა უკეთ აუღეს ალღო შექმნილ ვითარებას. მატჩი უმთავრესად მათი ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, განსაკუთრებით აქტიურობდა პეტრაკოვი, რომლის საწინააღმდეგოდ ქუთაისელებმა ვერ მოძებნეს ეფექტური კონტრზომები და მოსკოველმა „ჰეტ-თრიკი“ შეასრულა — გაიტანა 3 ბურთი. მას მეტიც შეეძლო, მაგრამ ვერ გამოიყენა 35-ე წუთზე სტუმართა კარში დანიშნული პენალტი — დარტყმის მიმართულებას კარგად აუღო ალღო მეკარე გაბელიამ. პეტრაკოვის გარდა ქუთაისელთა კარში ბურთი გაიტანა პოლუკაროვმა.

ერთადერთი საპასუხო გოლი მოსკოველთა კარში საჯარიმოთი გაიტანა მეგრელაძემ. სტუმრებს ამის გარდაც ჰქონდათ კარგი შესაძლებლობანი, კერძოდ, მეკარე ჩანოვმა თავგანწირული ნახტომით იხსნა თავისი კარი მეგრელაძის გარღვევის შემდეგ, ხოლო დარჯანიამ სულ ახლო მანძილიდან ააცილა მიზანს ძლიერი დარტყმა.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 10 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ მ. | 4 | 3 | 1 | 0 | 7—2 | 7 |
| „არარატი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 6—4 | 6 |
| „ჩერნომორ.“ | 3 | 2 | 1 | 0 | 3—1 | 5 |
| „დნეპრი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 4—3 | 5 |
| „შახტიორი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 3—2 | 5 |
| „დინამო“ მნ. | 4 | 2 | 1 | 1 | 5—5 | 5 |
| „ჟალგირისი“ | 4 | 1 | 3 | 0 | 1—0 | 5 |
| „მეტალისტი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 4—2 | 4 |
| „დინამო“ მ. | 4 | 2 | 0 | 2 | 4—2 | 4 |
| „ზენიტი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 3—2 | 4 |
| „დინამო“ თბ. | 4 | 1 | 2 | 1 | 2—1 | 4 |
| „ფახთაქორი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 4—4 | 4 |
| „სპარტაკი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 8—5 | 3 |
| ცსკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2—4 | 3 |
| „დინამო“ კ. | 3 | 1 | 0 | 2 | 2—4 | 2 |
| „ნეფთჩი“ | 4 | 0 | 1 | 3 | 0—3 | 1 |
| „ნისტრუ“ | 3 | 0 | 1 | 2 | 2—10 | 1 |
| „ტორპედო“ ქ. | 4 | 0 | 0 | 4 | 2—8 | 0 |

## I ლიგა

**გუშინ** დაიწყო I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება ლანჩხუთის „გურიამ“ პირველ ტურში თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „ლოკომოტივი“.

თამაში დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 1:0. ბურთი გაიტანა ებანოიძემ.

83

სარედაქციო ფოსტა

# აღვკვეთოთ უხეშობა

**დიდი** ინტერესით წავიკითხე სპორტის დამსახურებულ ოსტატ მ. მესხის წერილი „უხეშობა ღუპავს თამაშს“.

ცამდე მართალია ჩვენი გამოჩენილი ვეტერანი, მან კარგად იცის, თუ რას ნიშნავს უხეშ ფეხბურთელთა წინააღმდეგ თამაში. ყველაფერი ის, რითაც მდიდარია ფეხბურთი: მაღალი ტექნიკა, სისწრაფე, ტაქტიკური სრულყოფა, მახვილგონიერება, აბსოლუტურად კარგავს აზრს, როცა ერთი ფეხბურთელი რაიმე ვირტუოზული გაკეთებას ცდილობს, მეორე კი ამ მომენტში ვერაგულად ფეხებში ურტყამს მას. ამას, აბა, რა ოსტატობა უნდა —მოიქნიე ფეხი და შენი ვირტუოზი მეტოქე ქირურგის პაციენტი ხდება.

მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში ამას ურიგდებიან ისინი, ვისი უშუალო მოვალეობაც უხეშობასთან ბრძოლა გახლავთ — მსაჯები. ისინი უმეტეს შემთხვევაში უბრალო ჯარიმით იფარგლებიან და უხეშ ფეხბურთელსაც ეს უნდა.

მ. მესხის გულისტკივილი ეხება არა მარტო უმაღლესი ლიგის თამაშებს, არამედ საქართველოს პირველობის შეხვედრებსაც. ჩემი აზრით, მსაჯებმა სასტიკ, კატეგორიულ ზომებს უნდა მიმართონ უხეშობასთან საბრძოლველად, გადაჭრით ამოძირკვონ ანტიფეხბურთის ყოველგვარი გამოვლინება.

**ვ. გოგორიშვილი.**

**ინჟინერი.**

# მოდით, ვითანამშრომლოთ

**სპორტის,** კერძოდ, ფეხბურთის დიდი მოყვარული ვარ. გადავწყვიტე შევაგროვო ყველაფერი, რაც კი ეხება თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ (პროგრამები, წიგნები, ვიმპელები, ცნობარები და ა. შ.). კავშირი დავამყარე ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ქალაქის გულშემატკივრებთან — მათაც ვუგზავნი საჭირო მასალას და საპასუხოსაც ვღებულობ.

ვფიქრობ, საქართველოშიც საკმარისად იქნებიან ადამიანები, რომლებსაც სურვილი აქვთ დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი, აწარმოონ დაგროვილი მასალის გაცვლა-გამოცვლა.

ჩემი მისამართია: სამტრედია, ლენინის ქ. № 1, ო. დ. გულიაშვილი.

**40 წლის მეკარეები...**

დინო ძოფი ახლა 41 წლისაა, მაგრამ მაინც საუკეთესო მეკარედ ითვლება იტალიაში და როგორც თვითონ აცხადებს, ფეხბურთში ახლად მოსულმა მეკარეებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ, ღირსეული კონკურენცია რომ გაუწიონ მას.

სხვათა შორის ასეთივე აზრისაა. ამსტერდამის „აიაქსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების მეკარე იან იონგბლადი. ის კი უკვე 42 წლისა შესრულდა.

კიდევ ერთი ხანდაზმული მეკარე — 40 წლის ხრისტო ხრისტოვი. იგი საიმედოდ იცავს ბლაგოევგრადის „პირინის“ (ბულგარეთი) კარს.

**4 ივნისს როტერდამში**

ამ დღეს გაიმართება როტერდამის „ფეიენოორდის“ 39 წლის ფეხბურთელის ვან ჰანეგემის საბენეფისო მატჩი. ვან ჰანეგემმა 52 ოფიციალური მატჩი ჩაატარა ჰოლანდიის ნაკრებში და ფეხბურთთან განშორების დღეს პირველ ტაიმს ითამაშებს ნაკრების შემადგენლობაში, ხოლო მეორე ტაიმს — „ფეიენოორდში“.

დავუმატებთ იმასაც, რომ ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები ამ დღეს მინდორზე იმ შემადგენლობით გამოვა, რომლითაც 1974 წელს ვან ჰანეგემის მონაწილეობით მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლები.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**მაგატი: „მე მხსნელი არა ვარ“**

გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ი. დერვალმა „ჰამბურგერ შპორტფერაინის“ ნახევარმცველს, 29 წლის მაგატს წინადადებით მიმართა დაუბრუნდეს გუნდს, რომელსაც იგი გამოეთხოვა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. მაგატმა ამის თაობაზე განაცხადა:

— მე გუნდის მხსნელი არა ვარ. სულაც არ მიდევს ბრალი იმ საგანგაშო მდგომარეობაში, რომელიც ახლა შეიქმნა გფრ-ის ნაკრებში. ამიტომ გთხოვთ ამიერიდან ნულარ შემაწუხებთ, მინდა მხოლოდ „ჰამბურგერ შპორტფერაინში“ ვითამაშო.

**ნახევარფინალები...**

გამოვლინდნენ პორტუგალიის საფეხბურთო თასის ნახევარფინალის მონაწილენი: „პორტომ“ დაამარცხა ბრაგის „სპორტინგი“ — 3:0, ლისაბონის „ბენფიკამ“ — ლისაბონის „სპორტინგი“ — 3:0, „პორტიმონენსემ“ — „ბოავისტა“ — 1:0, ხოლო „აკადემიკომ“ — „არკო“ — 2:1.

GENS UNA SUMUS

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

●

### ალიკანტეში...

**8 აპრილს** ნ. ალექსანდრიასა და ტ. ლემაჩკოს მატჩის მესამე პარტიაში 51-ე სვლაზე ქართველმა დიდოსტატმა გაიმარჯვა.

დაწინაურდა ალექსანდრია —2:1.

აი, როგორ მიმდინარეობდა ეს პარტია:

**ლემაჩკო — ალექსანდრია**

**ახალინდური დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. a3 კa6 5. მbd2 d5 6. c×d5 e×d5 7. მe5 კd6 8. ლa4+ c6 9. მdf3 ლc7 10. ლc2 0—0 11. g3 c5 12. კf4 მc6 13. მ×c6 კ×f4 14. მce5 კ×e5 15. მ×e5 ლe7 16. ლa4 c×d4 17. ლ×d4 კc4 18. f4 h6 19. კg2 ეac8 20. ლd1 მd7 21. მ×c4 d×c4 22. ლd4 მf6 23. ეc1 ეfd8 24. ლc3 მd5 25. კ×d5 ე×d5 26. ეf1 b5 27. ეf3 ეe8 28. ეc2 h5 29. ეd2 ე×d2 30. ლ×d2 ლc5 31. მფf1 ეe6 32. ლd8+ მფh7 33. ლg5 ლ×g5 34. h×g5 მფg6 35. მფe1 ეd6 36. ეf4 a6 37. h4 f6 38. g×f6 g×f6 39. a4 f5 40. a×b5 a×b5 41. ეf3 ეd4 42. b3 მფf6 43. b×c4 ე×c4 44. ეe3 f4 45. ეf3 მფe5 46. g×f4+ ე×f4 47. ე×f4 მფ×f4 48. მფd2 მფg4 49. მფd3 მფ×h4 50. მფd4 მფg4 51. e4 h4. თეთრები დანებდნენ.

ზ. რიბლი — ე. ტორეს მატჩშიც მესამე პარტია შედგა. მეტოქეებმა ამჯერადაც მოარიდეს თავი ბრძოლას და ყაიმზე შეთანხმდნენ.

მატჩის ანგარიშია 1,5:1,5.

დღეს, 10 აპრილს ორივე მატჩში მეოთხე პარტია გათამაშდება.

## მკითხველის თხოვნით

**„ლელოს“** მკითხველები გ. მამალაძე (ქუთაისი), შ. ზუკაკიშვილი (საგარეჯო), თ. ჭელიძე, მ. მათიაშვილი (ორივე — თბილისი) და სხვები გვთხოვენ დავბეჭდოთ გაზეთში მურეშან-სემიონოვას მატჩის პარტიები. გულშემატკივრებს აინტერესებთ ამ დიდოსტატების ბოლოდროინდელი საჭადრაკო შემოქმედების გაცნობა. ეს იმიტომ, რომ ერთ-ერთ მათგანს ნანა იოსელიანი უნდა შეხვდეს პრეტენდენტთა ნახევარფინალურ შეჯიბრებაში.

ვასრულებთ მკითხველთა თხოვნას. დღეს გთავაზობთ მურეშან—სემიონოვას მატჩის პირველ ორ პარტიას.

### პირველი პარტია

**მურეშანი — სემიონოვა**

**ლაზიერის პაიკის დებიუტი**

1. მf3 d5 2. c4 c6 3. e3 მf6 4. მc3 g6 5. d4 კg7 6. კe2 0—0 7. 0—0 d×c4 8. კ×c4 კg4 9. h3 კ×f3 10. ლ×f3 მbd7 11. ეd1 e5 12. d5 e4 13. ლe2 c5 14. კd2 ლe7 15. კe1 მe8 16. კb5 მd6 17. კ×d7 ლ×d7 18. ლc2 ეfe8 19. მe2 ეac8 20. კc3 ლe7 21. ეac1 კe5 22. ლa4 b5 23. ლa6 ლd7 24. კ×e5 ე×e5 25. მf4 c4 26. ლa5 ლb7 27. ლc3 ეee8 28. a3 ლe7 29. ლb4 ლe5 30. ეc3 მფg7 31. ეd4 h5 32. ეc2 h4 33. მe2 g5 34. მc3 ეb8 35; ლa5 ეb7 36. მa2 g4! 37. h×g4 ეh8 38. ლc3 f6 39. მb4 ლg5 40. მc6 ეd7 41. ლe1 (ჩაწერილი სვლა) 41. ...ლ×g4 42. ლe2 ლ×e2 43. ე×e2 h3 44. g3 f5 45. ეd1 მფf6 46. მd4 a6 47. მe6 a5 48. ეc2 ეa7 49. ეa1 ეaa8 50. მf4 b4 51. a×b4 a×b4 52 ეcc1 ეhc8 53. მფh2 მფe5 54. მფ×h3 c3 55. ე×a8 ე×a8 56. b×c3 b3 57. ეb1 ეb8 58. მe2 b2 59. მd4 მფ×d5 60. მc2 მფc4 61. ეd1 მფb3 62. მd4+ მფ×c3: თეთრები დანებდნენ.

### მეორე პარტია

**სემიონოვა — მურეშანი**

**კარო-კანის დაცვა**

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 d×e4 4. მ×e4 კf5 5. მg3 კg6 6. h4 h6 7. მf3 მd7 8. h5 კh7 9. კd3 კ×d3 10. ლ×d3 მgf6 11. კf4 ლa5+ 12. c3 e6 13. a4 კe7 14. b4 ლd8 15. 0—0 0—0 16. ეab1 მb6 17. a5 მbd5 18. კd2 კd6 19. მe5 მ×b4 20. ლe2 მbd5 21. e×b7 ლ×a5 22. მ×c6 ლa2 23. c4 ლa6 24. მa5 კ×g3 25. f×g3 ეac8 26. ეf2 მb6 27. ე×f6 g×f6 28. კ×h6 მფh7 29. ლg4 მფ×h6 30. ე×f7. შავები დანებდნენ.

---

### ბად-კისინგენში...

**ლ. კორტიშ**-ვ. კორჩნოის მატჩის მეექვსე, გადადებული პარტია ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიშია 4,5:1,5 კორჩნოის სასარგებლოდ.

● ჭადრაკი

## პირველი ყაიმი

**იაროსლავლი**, 9 აპრილი (**ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.**). აქ დაიწყო ჭაბუკთა შორის (20 წლამდე) მსოფლიო პირველობისთვის საბჭოთა მოჭადრაკეთა შესარჩევი ტურნირი.

პირველობის ერთადერთი საგზურისთვის იბრძვიან (წილისყრის მიხედვით) მსოფლიო ჩემპიონი 16 წლამდე ჭაბუკებს შორის ა. დრეევი (ქელეზნოვოდსკი), გ. გიორგაძე (თბილისი), ა. გოლდინი (ნოვოსიბირსკი), ვ. ეპიშინი (ლვოვი), ფ. ნადირხანოვი (ბუხარა), ე. ოლლი (ტალინი), მ. კულინსკი (დნეპროპეტროვსკი), ა. მინასიანი (ერევანი), ი. ნაუმსკი (მოსკოვი), ვ. სალოვი (ლენინგრადი), ფ. ზაგრებელნი (ჩირჩიკი), ვ. რუბანი (ნოვოსიბირსკი), ვ. ბორეევი (მოსკოვი) და რ. დაუტოვი (უფა).

გათამაშდა პირველი ტური. გიორგაძემ ბორეევთან მცირე უპირატესობა მიიღო, მაგრამ ცაიტნოტში მეტოქემ მდგომარეობა გაათანაბრა და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მინასიანმა მოუგო კულინსკის, ნადირხანოვმა — სალოვს და ეპიშინმა — ზაგრებელნის. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

---

## დარჩა დასკვნითი ტური

**დორტმუნდში** (გფრ) გრძელდება საერთაშორისო ტურნირი.

ბოლოსწინა, მე-10 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან დიდოსტატი მ. შუბა (რუმინეთი) — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, საერთაშორისო ოსტატი მ. ჩანდლერი (ინგლისი) — 6,5, დიდოსტატი ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 6 (1) და მაია ჩიბურდანიძე — 5,5 (1).





# „მართვეს“ პრიზზე

**განათლების** სამინისტროს გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის დარბაზში დამთავრდა საქართველოს განათლების სამინისტროს ღია პირადგუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში „მართვეს“ პრიზზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1970-1974 წლებში დაბადებული ბიჭები და 1971-1976 წლებში დაბადებული გოგონები, სულ ასამდე სპორტსმენი. მონაწილენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველში შედიოდნენ ქალაქების თბილისის, ზუგდიდის, სოხუმის, ქუთაისისა და რუსთავის განათლების სამინისტროს სისტემის სპორტსკოლების მოსწავლეები. სამწუხაროდ, ასპარეზობაზე არ ჩამოვიდნენ ბათუმელი, ცხინვალელი, გორელი და ლანჩხუთელი ტანმოვარჯიშეები.

მეორე ჯგუფში იყვნენ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა სპორტსკოლების წარმომადგენლები. საასპარეზოდ გამოვიდნენ „შრომითი რეზერვების“, „ლოკომოტივის“, „სპარტაკის“, „ტრუდისა“ და „დინამოს“ (2) გუნდები.

— „მართვეს“ პრიზზე ტრადიციული შეჯიბრება ძალზე პოპულარული გახდა დამწყებ ტანმოვარჯიშეთა შორის და, რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი დიდი პასუხისმგებლობით ემზადება მისთვის, — თქვა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ნ. ჭანტურიამ. —სპეციალისტები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა გამოსვლას. სწორედ ამ ასაკში ვლინდება მოზარდის ტალანტი და მთავარია არ გამოგვეპაროს არც ერთი ნიჭიერი სპორტსმენი. ვინ იცის, მათგან რომელს მოუწევს რესპუბლიკის ღირსების დაცვა საკავშირო სარბიელზე. ამჯერად მინდა გამოვყო ჩვენი დედაქალაქის სახელით მოასპარეზე გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი მ. იმნაძე) აღსაზრდელები, რომლებმაც გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და პრიზიც დაისაკუთრეს. ქებას იმსახურებენ ზუგდიდელი ბიჭებიც (მწვრთნელი ვ. ხაბეიშვილი). სასიამოვნოა, რომ ამ ქალაქში დიდი ხნის შემდეგ კვლავ იგრძნობა გამოცოცხლება. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სოხუმელმა გოგონებმაც.



გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის ნაკრებმა, მეორე ჯგუფში — „დინამოს“ პირველმა კოლექტივმა.

პირად ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ: იუნიორთა მეორე თანრიგში ლია აბდუშელიშვილი და ნიკოლოზ ბარამიძე (ორივე — „შრომითი რეზერვები“), იუნიორთა პირველ თანრიგში — ხათუნა მარგიევა და ხვიჩა გაბიევი (ორივე — განათლების სამმართველო), მოზრდილთა მეორე თანრიგში — ირინე ემუხვარი (სოხუმის განათლების სამმართველო) და ცეზარ ტომარაძე („შრომითი რეზერვები“), მოზრდილთა პირველ თანრიგში — ნინო ქართველიშვილი (განათლების სამმართველო) და ემზარ ფუნთუშაშვილი („დინამო“).

ა. ალადაშვილი.

• • •

**სურათებზე:** შეჯიბრების გამარჯვებული თბილისის გოგონებისა (მწვრთნელი გ. გიუტაშვილი) და ბიჭების (მწვრთნელი გ. გელაშვილი) გუნდები; ლ. აბდუშელიშვილი დვირზე ვარჯიშის დროს.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

## ჩვენი გამოსვლების ქმედითობა

**გაზეთ** „ლელოს“ 10 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი „სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?“, რომელშიც მოთხრობილი იყო თბილისის ხილბოსტანვაჭრობის № 99 მაღაზიის მუშის, 20 წლის ვლადიმერ ამიროვისა და გალის დოსააფის ავტოსკოლის მოსწავლის, 17 წლის ანდრონიკ მარტიროსიანის დანაშაულზე. ამიროვი ღამის 3 საათზე სხვისი მანქანით სეირნობისას დააკავეს ავტოინსპექციის მუშაკებმა, მარტიროსიანი კი მაშინ, როცა იგი მოქალაქე უ.-ს ავტომობილიდან მოხსნილი მაგნიტოფონით გაპარვას აპირებდა.

ორივე დამნაშავის საქციელზე რედაქციამ ახსნა-განმარტება მოსთხოვა ვ. ამიროვისა და ა. მარტიროსიანის სამუშაო და სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელობას.

**ამ დღეებში თბილხილბოსტანვაჭრობის საქარხნო რაიგანყოფილების დირექციისაგან მივიღეთ წერილი, რომელშიც გვწერენ:**

„1983 წლის 1 აპრილს ჩატარდა რაიგანყოფილების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. აქ განიხილეს № 99 მაღაზიის ყოფილი მუშის ვლადიმერ ამიროვის ულირსი საქციელი, რომელიც მან ჩაიდინა სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ.

ვ. ამიროვი სულ 2 თვე მუშაობდა ჩვენს სისტემაში და ჩვენი უშუალო დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ დროულად ვერ შევნიშნეთ მის პიროვნებაში პოტენციური ბოროტმოქმედი. სავაჭრო ობიექტში წესიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ნაწილობრივ ამანაც განაპირობა, რომ ხელმძღვანელობამ, კომკავშირულმა ორგანიზაციამ და ადმინისტრაციამ მასზე კონტროლი შეასუსტა.

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ გაკიცხა მაღაზია №99-ს ყოფილი გამგე და მისი მოადგილე.

საქარხნო რაიგანყოფილების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ადმინისტრაციასთან ერთად შეიმუშავებენ კონკრეტულ გეგმაღონისძიებას, რომელიც უზრუნველყოფს მსგავს დანაშაულთა აღმოფხვრას“.

წერილს ხელს აწერენ ხილბოსტანვაჭრობის საქარხნო რაიგანყოფილების დირექტორი ნ. თათარაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი რ. ნალბანდიანი, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი გ. მომცელიძე და ადგილკომის თავმჯდომარე ლ. ძებისაშვილი.

გამოგვეხმაურა გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომიც. დოსააფის ავტოსკოლის ყოფილი მოსწავლის ა. მარტიროსიანის სამარცხვინო საქციელი მკაცრად დაგმეს გალის დოსააფის ავტოსკოლის მოსწავლეთა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ამასთან, ავტოსკოლის დირექციამ საქართველოს ალკკ ოჩამჩირის რაიკომის (სადაც ის ამჟამად კომკავშირულ აღრიცხვაზეა) წინაშე დასვა საკითხი მის მიმართ მკაცრი ორგანიზაციული ზომების მიღების შესახებ.

## პანორამა

● ფრენბურთი

**ფრენბურთელ** ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს ბუდაპეშტში საბჭოთა სპორტსმენებმა მოუგეს გფრ-ის გუნდს — 3:1 და „სავარიას“ თასზე მესამე ადგილი დაიკავეს. გაიმარჯვეს კი აშშ-ს ფრენბურთელებმა, რომლებმაც დაუმარცხებლად ჩაატარეს ტურნირი.

● ველოსპორტი

**მაროკოში** გრძელდება ტრადიციული მრავალდღიანი საერთაშორისო ველორბოლა. მეორე ეტაპზე, რომლის სიგრძე 178 კმ იყო, ყველას აჯობა მასპინძელმა მრბოლმა მ. ნეჟარიმ. გამარჯვებულმა მანძილი 5 საათსა, 13 წუთსა და 22 წამში განვლო. საბჭოთა სპორტსმენები ფინიშთან ძირითად ჯგუფში იყვნენ, მაგრამ პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ.

რბოლის ლიდერის მაისურს კვლავ პირველი ეტაპის გამარჯვებული, გდრ-ის ველოსიპედისტი ლუტც ლეტჩი ინარჩუნებს.

● კალათბურთი

**„ბარსელონას“** კალათბურთელებმა გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს მადრიდის „რეალს“ 76:70 (33:30) და მესამედ მოიპოვეს ესპანეთის ჩემპიონობა.

### „სპორტლოტო“

**გუშინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-15 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (საავიაციო სპორტი), 46 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36-დან:** 3 (ბობსლეი), 6 (ძიუდო), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 12 (ტანვარჯიში), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. ხა. გაზეთი კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 უე — 87476